603/2 № 7023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

1 ოქტომბერი

კვირა,

1961 წ.

№ 154 (1790)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

603/2

## მაღალი ჯილდო პედაგოგებს

ამას წინათ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა უმაღლესი სკოლების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომლებიც: პროფესორი მ. ა. გოგიაშვილი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ინსტიტუტის რექტორი ა. გ. ფალავანდიშვილი, უფროსი მასწავლებელი გ. კ. მეუნარგია დაჯილდოვებული არიან მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, კათედრის გამგე ა. ნ. წერეთელი და უფროსი მასწავლებელი შ. ს. კილაძე მედლით „წარჩინებული შრომისათვის“.

50

## ფინიშის ფინიშზე

ბლიცის ტურნირის ფინიში თითქოს განგებ აეწყო ისე, რომ საპრიზო ადგილების პრეტენდენტები (მ. ტალის გარდა) ერთმანეთს ხვდებიან. რასაკვირველია, ამან უკიდურესობამდე გაზარდა ინტერესი ტურნირისადმი.

XVII ტურში ფიშერმა ვერ გატეხა ნაიდორფის წინააღმდეგობა და ყაიმით დაკმაყოფილდა. ტალმა კი შეძლო პახმანთან უპირატესობის მიღება და პარტია უკეთეს პოზიციაში გადადო, გლიგორიჩმა დაამარცხა თანამემამულე უდოვჩიჩი, ხოლო კერესი და პეტროსიანი, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ, ყაიმზე შეთანხმდნენ. გელერი დამარცხდა ბისპაიერთან. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

XVII ტურის შემდეგ, როცა ტურნირის დამთავრებას აკლია ორი ტური, ტალს 12 ქულა აქვს.

## წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

ბათუმში დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირების წყალბურთელთა გუნდები: უნგრეთის პროფკავშირებისა და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ნაკრები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ტრუდი“ (რსფსრ), ლენინგრადის „ბალტიკა“ და „ვოდნიკი“, საქართველოს „განთიადი“ და „ბურევესტნიკი“.

შეკრების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ „ტრუდი“ და უნგრეთის პროფკავშირების ნაკრები. დაძაბული ასპარეზობა უნგრელმა სპორტსმენებმა მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 3:2.

ლენინგრადის „ბალტიკის“ წყალბურთელებმა დაამარცხეს თბილისის „განთიადის“ გუნდი — 4:2. მოსკოველმა სტუდენტებმა ანგარიშით 3:2 მოუგეს თბილისელ კოლეგებს.

მეორე ტურში თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა დაამარცხეს „ტრუდის“ წარმომადგენლები — 2:1, უნგრეთის პროფკავშირის ნაკრებმა — თბილისის „განთიადი“ — 7:4.



## ი. ვლასოვი — 208 კგ

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ძალოსნობაში. სხვებთან ერთად აქ მონაწილეობდა საბჭოთა ძალოსანი მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ი. ვლასოვი.

ჩვენი ქვეყნის წარგზავნილმა აკვრაში აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 208 კგ და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

## ტრადიციული შეხვედრა

ახლახან სოფიაში დამთავრდა რუსეთის ფედერაციისა და ბულგარეთის მოჭადრაკეთა გუნდების საერთაშორისო ტრადიციული მატჩი. თითეულ გუნდში შედიოდა 8 ვაჟი და 2 ქალი. რსფსრ-ს გუნდს ლიდერობდა გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი, ხოლო ბულგარელებს — გროსმაისტერი მ. ბობოცევი.

მატჩი ჩატარდა ორ წრედ. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 13,5:6,5.

თბილისში ჩატარებული მატჩის შემდეგ რუმინელი მოჭიდავეები ქუთაისს ეწვიენ და დამარცხდნენ.

სურათზე: ქუთაისელ გ. გობეჯიშვილისა (ზევიდან) და რუმინელ ა. ბალოგის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მატჩები ოქტომბერში

I-X ადგილები

1 სკა (როსტოვი)-„დინამო“ (კიევი), „ტორპედო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (ერევანი), „ავანგარდი“ (ხარკოვი)-ცსკა. 2. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი). 5. „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-სკა (როსტოვი), „დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (თბილისი). 6. ცსკა-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ერევანი)-„ტორპედო“ (მოსკოვი). 11. „დინამო“ (თბილისი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი), „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი), სკა (როსტოვი)-ცსკა. 12. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი). 16. ცსკა-„დინამო“ თბილისი). 17. „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), „სპარტაკი“ (ერევანი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი)-სკა (როსტოვი). 21. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი). 22. „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), სკა (როსტოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი), „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) „ტორპედო“ (მოსკოვი)-ცსკა. 26. „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

**ჭადრაკი**

შედგა კიდევ ერთი მატჩი „ა“ კლასის გუნდებს შორის, რომლებიც მოხვედრილი არიან მეორე ათეულში.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ადმირალტეეცი“ და „ზენიტი“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ზენიტმა“.

ავჭალის ლენინის სახელობის შუშის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი უკანასკნელ წლებში გაძლიერდა, ახლა აქ მუშაობენ სექციები სპორტის რამდენიმე სახეობაში, ყავთ ძლიერი გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიან შეჯიბრებებზე.

* * *



სურათზე: ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. იორდანიშვილი (შუაში), რომელიც სროლის სექციას ხელმძღვანელობს, ამეცადინებს სექციის წევრებს.

ფოტო ვ. გოგაძისა.

## სან-ფრანცისკოდან მოსკოვამდე

ზოგმა მათგანმა ქვეითად უკვე გაიარა 9 ათასამდე კილომეტრი. ლაშქრობა „მშვიდობისათვის“ დაიწყო გასული წლის 1 დეკემბერს სან-ფრანცისკოში. მოლაშქრეებმა დაფარეს აშშ-ს, ინგლისის, ბელგიის, დასავლეთ გერმანიის, გდრ-ს, პოლონეთის ტერიტორია და ამჟამად მარშრუტი გადის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე.

პირველად ისინი ათიც არ იყვნენ, მაგრამ გზადაგზა მათ შეუერთდნენ ამერიკის სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, ნორვეგიელები, ფინელები. ამჟამად ლაშქრობაში სან-ფრანცისკო - მოსკოვი მონაწილეობს 30 კაცი.

აშშ-ს სათანადო ორგანოები ფხიზელ ინტერესს იჩენდნენ ამ ლაშქრობისადმი. მათ გაზეთებს, რადიოსა და ტელეხედვის კომპანიებს მითითება მისცეს დუმილით აევლოთ გვერდი ამ ღონისძიებისათვის. ინგლისის შემდეგ ლაშქრობის მონაწილეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩასულიყვნენ საფრანგეთში. მაგრამ ამ ქვეყნის ხელისუფლებმა კატეგორიულად აუკრძალეს სახელმწიფო საზღვრის გადმოლახვა. მათ ორჯერ გადაცურეს ლა-მანში და შეეცადნენ გადამსხდარიყვნენ საფრანგეთის ნაპირებზე. როცა ნათელი გახდა, რომ ოფიციალური ნებართვას ვერ მიიღებდნენ, მონაწილეთა ერთი ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით, რომელშიც იყო 48 წლის რეგინა ფიშერი, ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკის ბ. ფიშერის დედა, გემიდან წყალში გადახტა და ნაპირისაკენ გაცურა.

დასავლეთ გერმანიის მმართველმა წრეებმა მოლაშქრეები თუმცა შეუშვეს თავიანთ ტერიტორიაზე, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მათთვის — მოლაშქრეებს თან დაჰყვებოდა პოლიციელთა ჯგუფი.

სულ სხვა სურათი დახვდათ ლაშქრობის მონაწილეებს გდრ-ს, პოლონეთის, სსრ კავშირის ტერიტორიაზე. აქ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ ღამის გასათევით, კვებით.

— ჩვენ გვითხრეს, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არ შეგვიშვებდნენ, მაგრამ როგორც კი ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლები ჩვენ ვიზას მოგვცემდნენ, მათ შეცვალეს თავიანთი მტკიცების კილო. ახლა ისინი გვიკიჟინებდნენ, რომ ფურცლების გავრცელების, საბჭოთა ადამიანებთან საუბრის ნებას არ დაგვრთავდნენ. მაგრამ ასე როდი ყოფილა საქმე. ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვგრძნობდით საბჭოთა მოქალაქეების გულთბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას, მათ სწრაფვას მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის საქმისადმი, — განაცხადა ლაშქრობის ერთ-ერთმა მონაწილემ.

# სამატჩო შეხვედრა

ამ რამდენიმე დღის წინ რუსთავში, „ავტომატმრეწვის" „განთიადის" ფიზკულტურის კოლექტივის მოწვევით, იმყოფებოდა ქ. ორჯონიკიძის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროცვეტმეტის" სპორტული დელეგაცია. სტუმრებმა და მასპინძლებმა გამართეს ამხანაგური შეხვედრა სპორტის ოთხ სახეობაში.

სტუმრებმა მაგიდის ჩოგბურთში ძლიეს მასპინძლებს. მათ შორის უძლიერესნი იყვნენ ზ. დადიანი და ბ. ალექსეევი, რომლებმაც ყველა შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ჭადრაკში გამარჯვება კვლავ ორჯონიკიძელ მეგობრებს ხვდათ.

შეჯიბრების მეორე დღე მასპინძელთათვის უფრო შედეგიანი გამოდგა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში უძლიერესი იყო რუსთაველი სტარინინა, ხოლო პისტოლეტიდან სროლა მოიგო ორჯონიკიძელმა აკალციევამ. რუსთაველმა ფრენბურთელმა ქალებმა ძლიეს ორჯონიკიძელ სპორტსმენებს ანგარიშით 3:1. მატჩი მოიგეს ვაჟებმაც — 3:0.

კომპლექსურ ჩათვლაში გუნდური პირველობა ხვდათ რუსთავის „ავტომატმრეწვის" სპორტსმენებს.

ი. ბურჭულაძე

# 16 გუნდი იბრძოდა თასისათვის

„სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაატარა თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში. მონაწილეობდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, ხე-ტყის კომბინატის, რადიო და ტელეხედვის, მექანიკური ქარხნისა და სხვა ორგანიზაციების 16 გუნდი. პირველი ადგილი და თასი მოიპოვეს ხე-ტყის კომბინატის ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ფეხბურთელები.

მ. ნამიჭეიშვილი

# დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა დუბლიორ ფეხბურთელთა მატჩი საკავშირო პირველობაზე. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ერევნის „სპარტაკის" გუნდი.

ანგარიში მეორე ტაიმში გახსნა ერევნელმა ფუტკარაძემ, ხოლო შემდეგ მასპინძელთა კარში გატანილ იქნა მეორე ბურთიც. თბილისელებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს გაქვითეს ერთი გოლი და განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:2.

თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობამ ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოასწორა თამაში და მთელი რიგი გამარჯვებებიც მოიპოვა, მაგრამ მატჩი ერევნის „სპარტაკთან" არ მიეკუთვნება წარმატებათა რიცხვს. გუნდი თამაშობდა ქაოტურად, უსისტემოდ, რაშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გუმბერიძე, თორაძე, ხურცილავა, ვეკუა, იაშვილი, ხუნდაძე (აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო და ბურთი ააცილა კარს). გარდა ამისა, არასპორტული საქციელისათვის მინდვრიდან იქნა გაძევებული პეტრიაშვილი.


# ლელო

მე-2 გვ. № 154 (1790)


# 3 ოქტომბერს

## თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე დაიწყება საბჭოთა კავშირის პირველობა მძლეოსნობაში!



საქართველოს ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში ე. ლომთაძე შესანიშნავ ფორმაშია. 3 ოქტომბერს მიეცემა მას საშუალება გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობა. ჩვენი სურვილია ვნახოთ იგი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე.

სურათზე: ე. ლომთაძე ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში

## 1961 წლის 1 ოქტომბრისათვის [ვაჟები]

### 100 მ

მსოფლიო რეკორდი — 10,0 — ა. ჰარი (გფრ) — 1960 წ., ჰ. ჯერომი (კანადა) — 1960 წ.
ევროპის — 10,0 — ა. ჰარი (გფრ) — 1960 წ.
საბჭოთა კავშირის — 10,3 — ვ. სუხარევი (მოსკოვი) — 1951 წ.
საქართველოს — 10,3 — ლ. სანაძე (თბილისი) — 1952 წ., ე. ლომთაძე (თბილისი) — 1961 წ.

### 200 მ

მსოფლიო რეკორდი — 20,5 — პ. რედფორდი (დიდი ბრიტანეთი) — 1960 წ., ს. ჯონსონი (აშშ) — 1960 წ., რ. ნორტონი (აშშ) — 1960 წ., ლ. ბერუტი (იტალია) — 1960 წ.
ევროპის — 20,5 — პ. რედფორდი (დიდი ბრიტანეთი) — 1960 წ., ლ. ბერუტი (იტალია) — 1960 წ.
საკავშირო — 20,9 — ბ. ტოკარევი (მოსკოვი) — 1955 წ.
საქართველოს — 21,4 — ლ. სანაძე (თბილისი) — 1952 წ.

### 400 მ

მსოფლიო რეკორდი — 44,9 — ო. დევისი (აშშ) — 1960 წ., კ. კაუფმანი (გფრ) — 1960 წ.
ევროპის — 44,9 — კ. კაუფმანი (გფრ) — 1960 წ.
საკავშირო — 46,0 — ა. იგნატიევი (ლენინგრადი) — 1955 წ.
საქართველოს — 48,7 — ლ. სანაძე (თბილისი) — 1952 წ.

### 800 მ

მსოფლიო რეკორდი — 1.45,7 — რ. მუნსი (ბელგია) — 1955 წ.
ევროპის — 1.45,7 — რ. მუნსი (ბელგია) — 1955 წ.
საკავშირო — 1.47,4 — ვ. სავინკოვი (ალმა-ატა) — 1961 წ.
საქართველოს — 1.53,1 — ა. კრივოშეევი (თბილისი) — 1957 წ.

### 1.500 მ

მსოფლიო რეკორდი — 3.35,6 — ჰ. ელიოტი (ავსტრალია) — 1960 წ.
ევროპის — 3.38,1 — ს. იუნგვირტი (ჩეხოსლოვაკია) — 1957 წ.
საკავშირო — 3.41,1 — ი. პიპინე (ვილნიუსი) — 1957 წ.
საქართველოს — 3.56,2 — ნ. თვაური (თბილისი) — 1959 წ.

### 5.000 მ

მსოფლიო, ევროპის, საკავშირო რეკორდი — 13.35,0 — ვ. კუცი (მოსკოვი) — 1957 წ.
საქართველოს — 14.30,8 — ნ. სერგეევი (თბილისი) — 1960 წ.

### 10.000 მ

მსოფლიო, ევროპის, საკავშირო რეკორდი — 28.18,8 — პ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი) — 1960 წ.
საქართველოს — 30.15.8 — ნ. სერგეევი (თბილისი) — 1960 წ.

### მარათონული რბენა

მსოფლიო რეკორდი — 2:15.16,2 — ა. ბიკილა (ეთიოპია) — 1960 წ.
ევროპისა და საკავშირო — 2:15.17,0 — ს. პოპოვი (ირკუტსკი) — 1958 წ.
საქართველოს — 2:28.01,6 — ვ. ხახაროვი (სოხუმი) — 1958 წ.

### თარჯრბენი 110 მ

მსოფლიო რეკორდი — 13,2 — მ. ლაუერი (გფრ) — 1959 წ., ლ. კელჰაუნი (აშშ) — 1960 წ.
ევროპის — 13,2 — მ. ლაუერი (გფრ) — 1959 წ.
საკავშირო — 13,7 — ა. მიხაილოვი (ლენინგრადი) — 1959 წ.
საქართველოს — 14,2 — მ. ტულუში (ბათუმი) — 1960 წ.

### თარჯრბენი 200 მ

მსოფლიო რეკორდი — 22,5 — მ. ლაუერი (გფრ) — 1959 წ., გ. დევისი (აშშ) — 1960 წ.
ევროპის — 22,5 — მ. ლაუერი (გფრ) — 1959 წ.
საკავშირო — 22,9 — ბ. კრიუნოვი (სტავროპოლი) — 1959 წ., ა. მიხაილოვი (ლენინგრადი) — 1960 წ.
საქართველოს — 23,9 — რ. ტრაპაიძე (თბილისი) — 1958 წ.

### თარჯრბენი 400 მ

მსოფლიო რეკორდი — 49,2 — გ. დევისი (აშშ) — 1958 წ.
ევროპის — 49,9 — ჰ. იანცი (გფრ) — 1960 წ.
საკავშირო — 50,4 — ი. ლიტუევი (მოსკოვი) — 1953 წ.
საქართველოს — 54,4 — ვ. ლისკოვი (თბილისი) — 1961 წ.

### 3.000 მ წინაღობებით

მსოფლიოსა და ევროპის რეკორდი — 8.30,4 — ზ. კშიშკოვიაკი (პოლონეთი) — 1961 წ.
საკავშირო — 8.31,2 — გ. ტარანი (კიევი) — 1961 წ.
საქართველოს — 9.03,3 — ვ. ვაშაკიძე (თბილისი) — 1957 წ.

### სიგრძეზე ხტომა

მსოფლიო რეკორდი — 8.28 მ — რ. ბოსტონი (აშშ) — 1961 წ.
ევროპისა და საკავშირო — 8.19 მ — ი. ტერ-ოვანესიანი (მოსკოვი) — 1961 წ.
საქართველოს — 7.79 მ — რ. ქოჩაკიძე (თბილისი) — 1960 წ.

### სიმაღლეზე ხტომა

მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო რეკორდი — 2.25 მ — ვ. ბრუმელი (მოსკოვი) — 1961 წ.
საქართველოს — 2.16 მ — რ. შავლაყაძე (თბილისი) — 1960 წ.

### ჭ ო კ ი

მსოფლიო რეკორდი — 4.83 მ — ჯ. დევისი (აშშ) — 1961 წ.
ევროპის — 4.67 მ — მ. პრეისგერი (გდრ) — 1961 წ.
საკავშირო — 4.65 მ — ი. კრასოვსკისი (მოსკოვი) — 1960 წ.
საქართველოს — 4.30 მ — ვ. ვენცკევიჩი (თბილისი) — 1960 წ.

### სამხტომი

მსოფლიო და ევროპის რეკორდი — 17.03 მ — ი. შმიდტი (პოლონეთი) — 1960 წ.
საკავშირო — 16.71 მ — ვ. კრეერი (მოსკოვი) — 1951 წ.
საქართველოს — 15.89 მ — ვ. ჩხეიძე (თბილისი) — 1960 წ.

### ბადროს ტყორცნა

მსოფლიო რეკორდი — 60.72 მ — ჯ. სილვესტერი (აშშ) — 1961 წ.
ევროპის — 60.47 მ — ე. პიანტკოვსკი (პოლონეთი) — 1959 წ.
საკავშირო — 57.84 მ — ვ. ტრუსენევი (ლენინგრადი) — 1961 წ.
საქართველოს — 54.25 მ — გ. გუდაშვილი (თბილისი) — 1961 წ.

### შუბის ტყორცნა

მსოფლიო და ევროპის რეკორდი — 86.74 მ — კ. ლიევერო (იტალია) — 1961 წ.
საკავშირო — 84.90 მ — ვ. კუზნეცოვი (ლენინგრადი) — 1958 წ.
საქართველოს — 76.46 მ — ხ. დაოვი (თბილისი) — 1961 წ.

### ურო

მსოფლიო რეკორდი — 70.33 მ — ჰ. კონოლი (აშშ) — 1960 წ.
ევროპის — 69.53 მ — დ. ჟივოცკი (უნგრეთი) — 1961 წ.
საკავშირო — 68. 92 მ — ვ. რუდენკოვი (მოსკოვი) — 1961 წ.
საქართველოს — 57.15 მ — ვ. თალხანოვი (თბილისი) — 1958 წ.

### ბირთვი

მსოფლიო რეკორდი — 20.06 მ — უ. ნიდერი (აშშ) — 1960 წ.
ევროპის — 19.55 მ — ა. როუ (ინგლისი) — 1961 წ.
საკავშირო — 18.88 მ — ვ. ოვსეპიანი (ერევანი) — 1960 წ.
საქართველო — 15.86 მ — ვ. ბლიაძე (მახარაძე) — 1961 წ.

### ათჭიდი

მსოფლიო რეკორდი — 8.683 ქ — რ. ჯონსონი (აშშ) — 1960 წ. (10,6; 7.55; 13.84; 178; 48,6; 14,5; 51.98; 3.98; 71.10; 5.09,9)
ევროპისა და საკავშირო — 8 360 ქ — ვ. კუტენკო (ლვოვი) — 1961 წ. (10,7; 7.01; 15.04; 180; 50,3; 15,2; 47.18; 4.30; 72.79; 4.34,3).
საქართველოს — 7.274 ქ — ო. ხოლოდოკი (თბილისი) — 1961 წ. (11,2; 7.10; 13.61; 180; 50,6; 15,4; 41.66; 3.60; 60.26; 4 25,7).

### სპორტული სიარული 20 კმ

მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო რეკორდი — 1:25.57,2 — ა. ვედიაკოვი (მოსკოვი) — 1959 წ.
საქართველოს — 1:29.26,0 — ა. შჩერბინა (თბილისი) — 1959 წ.

### სპორტული სიარული 50 კმ

მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო რეკორდი — 4:00.49,8 — მ. ლავროვი (ვორონეჟი) — 1961 წ.
საქართველოს — 4:10.30,2 — ა. შჩერბინა (თბილისი) — 1958 წ.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამბისტებმა სცადეს ძალები

**სურათებზე:** საქართველოს 1961 წლის ჩემპიონები სამბოში, მარცხნიდან — ქუცნიაშვილი, კაციაშვილი, მარტყოფლიშვილი, ქევხიშვილი, მარიამული, მაზიაშვილი, ზურაბაული, ვარდოშვილი. ქვევით — შეჯიბრების მომენტები.

ფოტო რ. ღვინაძისა.

კასპში დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს სამბისტთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ თბილისელი სამბისტები. ჩვენი დედაქალაქის ნაკრებმა გუნდმა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი დაისაკუთრეს კასპის მოჭიდავეებმა, ხოლო მესამე — ქუთაისის სპორტსმენებმა.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები განაწილდა ასე (წონითი კატეგორიების მიხედვით): უმჩატესი წონა — ჩ. ქუცნიაშვილი, ა. ყაჩმაზოვი (ორივე თბილისი), ო. იმერლიშვილი (ქუთაისი), მჩატე წონა — ლ. კაციაშვილი, გ. ბალხამიშვილი (ორივე კასპი), თ. პაპუაშვილი (თბილისი). ქვემსუბუქი წონა — ა. მარტყოფლიშვილი, ბ. მარიდაშვილი, გ. ნავროზაშვილი (ყველა თბილისიდან), მსუბუქი წონა — ა. ქევხიშვილი (თბილისი), თ. არაბული (აჭარა), ი. პეტრიაშვილი (თბილისი), ქვესაშუალო წონა — ვ. მარიამული (კასპი), ზ. ქუძანაშვილი (ახმეტა), გ. გელიშვილი (თბილისი), საშუალო წონა — ბ. მაზიაშვილი, გ. სულაშვილი, შ. გულიაშვილი (ყველა თბილისი), ქვემძიმე წონა — ა. ზურაბაული, ლ. ჯაფარიძე (ორივე თბილისი), ნ. ყაჩმაზიშვილი (გორი), მძიმე წონა — ა. ვარდოშვილი (კასპი), გ. გზირიშვილი (თბილისი), ს. ზალიკაშვილი (საგარეჯო).

შეჯიბრებამ, რომელშიც 10 რაიონის 90 სამბისტი გამოდიოდა (მათ შორის 18 სპორტის ოსტატი), გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები, რომლის გამოსწორებას ფიზკულტურული ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგნენ. როგორც ასპარეზობამ დაგვანახვა, სამბოს განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავენ რესპუბლიკის ბევრ რაიონში. აფხაზეთმა და საგარეჯომ კი შეჯიბრებაში მოუმზადებელი სპორტსმენები გამოიყვანეს, მათ ვერ შეძლეს ბრძოლების ბოლომდე დამთავრებაც კი.

მიმდინარე წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში თბილისში ჩატარდება საკავშირო პირველობის გათამაშება სამბოში. ჩვენს დედაქალაქს ეწვევიან უძლიერესი სამბისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან. საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა ჩვენი სამბისტებისაგან სამართლიანად მოელის წარმატებებს, მითუმეტეს შეჯიბრება „საკუთარ მოედანზე" ტარდება. ამიტომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში შემავალმა სპორტსმენებმა და პირად ჩათვლაში მონაწილეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილი დრო. რესპუბლიკის პირველობა ჩვენი მოჭიდავეთა მზადყოფნის დათვალიერება იყო და მისი შედეგების განზოგადოებას დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**ჭ. ნინიაშვილი,**
სპორტის ოსტატი.





## წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: ტ. კაპანაძეს (სასტენდო სროლა, თბილისი), ნ. სალუქვაძეს (მხატვრული ტანვარჯიში, თბილისი), გ. ბაქრაძეს (სათხილამურო სპორტი, თბილისი).

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: ვ. ლაზარევას (მხატვრული ტანვარჯიში, თბილისი), ვ. მუსხელიშვილს (მძლეოსნობა, ბათუმი), ა. სიხარულიძეს (თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი), დ. ჩაჩანიძეს (ქართული ჭიდაობა, ქუთაისი), ვ. გიგიაძეს (თავისუფალი ჭიდაობა, ქუთაისი), გ. ბოგდანოვს (კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ქუთაისი), გ. ბზიკაძეს (ფეხბურთი, ქუთაისი), გ. ჯორბენაძეს (ქართული ჭიდაობა, ბათუმი), ე. ჭანტურიას (ფრენბურთი, ბათუმი), გ. პაპიტაშვილს (ქართული ჭიდაობა, გორი), ზ. ჩოჩიევს (ძალოსნობა, სტალინირი), ა. ხუხრიანს (საპარაშუტო სპორტი, თბილისი).

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: გ. დანელიას თავისუფალ ჭიდაობაში („განთიადი", ქუთაისი), ე. შვანგირაძეს თავისუფალ ჭიდაობაში („ბურევესტნიკი", ქუთაისი), ა. ჩოლოკიანს ძალოსნობაში („დინამო", სოხუმი), ა. სიდოროპულოს კრივში („სპარტაკი"). თ. კუჭავას ფრენბურთში („ბურევესტნიკი", თბილისი), ი. ბოიკოს, ლ. ჟიგულინს, ვ. გავრილენკოს, ს. ბუინოვს, ნ. მუსხელიშვილს ფრენბურთში (ყველანი თბილისის „ბურევესტნიკიდან"), ვ. რომანოვს წყალბურთში („დინამო", თბილისი), ო. მამინოშვილს წყალბურთში („დინამო", თბილისი), ლ. გოგოლაძეს სათხილამურო სპორტში („კოლმეურნე", თბილისი), პ. გავას სათხილამურო სპორტში („კოლმეურნე", ბაკურიანი), მ. კუროჩკინს სასტენდო სროლაში („ლოკომოტივი", თბილისი), ქ. ქლდიაშვილს სასტენდო სროლაში (მონკავშირი, თბილისი). შ. სულამანიძეს ფარიკაობაში („ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. კალანდაძეს მძლეოსნობაში („სპარტაკი", თბილისი), გ. გალოიანს ძალოსნობაში (საბჭოთა არმია, თბილისი), ე. კაკაბაძეს ჰადრაკში („სპარტაკი", თბილისი).

# დებულების ბრალია?

საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა — საშუალო წონის ძალოსანმა გ. პაპიძემ 165-კილოგრამიანი შტანგა აკრა და ორი კილოგრამით გააუმჯობესა თავისი მწვრთნელის ა. გალოიანის ძმის — რობერტის რესპუბლიკური რეკორდი.

ეს მოხდა რამდენიმე დღის წინ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გამართულ ძალოსანთა საქალაქო შეჯიბრების მეორე ტურში. ნიჭიერმა სპორტსმენმა სამჭიდში 410 კგ დააგროვა. იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავისი წონის ძალოსნებზე, მაგრამ საერთო ჩათვლაში მხოლოდ მესამე საპრიზო ადგილზე აღმოჩნდა?!

საოცარია. საოცარია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მსუბუქი წონის ძალოსანმა ლ. ბაბაიანმა („სპარტაკი"), რომელმაც აკვრაში სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. ჩიმიშკიანის რეკორდი (146 კგ) გაიმეორა და სამჭიდში 345 კგ დააგროვა. შეჯიბრებაზე მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა.

ნუ გაგვიკვირდებათ. აქ არც თვალთმაქცობას აქვს ადგილი და არც შეჯიბრების მდივნის მიერაა შეცდომა დაშვებული შედეგების გამოყვანისას.

ყველაფერი უხეიროდ შედგენილმა დებულებამ გამოიწვია, რომელიც თბილისის ჩემპიონების გამოვლინებას როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაზე ორივე ტურის შედეგების მიხედვით ითვალისწინებდა.

მცდარი, ძალიან მცდარი გადაწყვეტილება მიიღეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა, რომლებმაც გვერდი აუარეს საქართველოს სპორტკავშირის ბრძანება ნომერ 769-ს, სადაც გარკვევითაა აღნიშნული, რომ ორი ტურის შედეგად ვლინდება გამარჯვებული გუნდი, ქალაქის ჩემპიონები კი მეორე ტურმა უნდა გამოავლინოსო.

ეს გასაგებიცაა, — სპორტსმენი შეიძლება შეიცვალოს მეორე სპორტსმენით, ერთი გამოკლებულის ადგილი შეიძლება მეორემ დაიკავოს. გუნდს ამით არაფერი დაუშავდება, ხოლო დებულების პირად პირველობაზე გადატანამ კურიოზულ მდგომარეობამდე მიიყვანა საქმე.

ლ. ბაბაიანმა, რომელმაც რ. ჩიმიშკიანის რეკორდი გაიმეორა, ცხადჰყო, რომ სეზონის ბოლოსათვის იგი საუკეთესოდ იყო მომზადებული, თბილისის ჩემპიონი კი გახდა „კოლმეურნის" წარმომადგენელი შ. ოსმანოვი, რომელმაც ორივე ტურის ჯამში, ე. ი. ექვსჭიდში 355 კგ დააგროვა — 170+185 (სპორტსმენმა ორჯერ მიიღო 0 შეფასება სხვადასხვა მოძრაობაში). ჩვენ, რასაკვირველია, სადაო არაფერი გვაქვს შ. ოსმანოვთან. მან ყველაფერი გააკეთა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და ორჯერვე მონაწილეობდა შეჯიბრებაში. ამ მხრივ იგი ქების ღირსია, მაგრამ რა უნდა სთქვან ძალოსნობის საკავშირო ფედერაციაში როცა გაიგებენ, რომ თბილისის ჩემპიონის შედეგი ექვსჭიდში 355 კილოგრამია?

ასეთივე დაბალი შედეგით — 602,5 კგ (ექვსჭიდში) გავიდა პირველ ადგილზე გ. ფარულავა (მან მეორე ტურში 302,5 კგ დააგროვა). მაშინ, როდესაც დასკვნით ტურში მასზე ბევრად უკეთესი შედეგები ჰქონდათ გ. პაპიძეს — 410 კგ და გ. კოჩიევს — 380 კგ.

თბილისის ჩემპიონი უნდა იყოს ნამდვილად უძლიერესი. ეს მტკიცებას არ მოითხოვს, ხოლო თუ ზოგიერთი სპორტსმენი დაუდევრობის გამო არ მიიღებს მონაწილეობას საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე (მეორე ტურში აღარ გამოსულან რ. ჩიმიშკიანი, ვ. რადიმაშვილი და სხვები), მათზე უკვე ძალოსნობის ფედერაციამ იზრუნოს.

ასეა თუ ისე, შეჯიბრება დამთავრდა და გატარებული დებულების თანახმად ორივე ტურის ჯამში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ შ. შადინი, გ. მარტიროსიანი, მ. ციცუაშვილი, შ. ოსმანოვი, ე. ჩალათაშვილი, გ. ფარულავა, ქ. ებრალიძე, გ. სანიკიძე და ო. ქემოკლიძე.

**გ. ხამსონაძე**

ჩვენი გაზეთის მკითხველს, ქუთაისელ ნ. მუავანაძეს აინტერესებს სად წაიკითხოს იმ კიეველ ფეხბურთელთა გმირობის შესახებ, რომლებმაც დიდი სამამულო ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში ყოფნის დროს შეძლეს მოძალადეთა გუნდის დამარცხება. განაწყენებულმა ფაშისტებმა ისინი დახვრიტეს.

ეს ამბავი შესანიშნავად აქვს გადმოცემული პ. სევეროვსა და ნ. ხოლემსკის მოთხრობაში — „უკანასკნელი მატჩი", რომლის ქართული თარგმანი გამოვიდა ამას წინათ.



თბილისის მეორე სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელებს ბ. კოზაევას, მ. ცინცაძეს, ნ. მეგრელიშვილს, მ. მაქაცარიას სურთ იცოდნენ სპორტის რამდენი სახეობაა რეკომენდებული ქალებისათვის და რომელია ისინი.

საბჭოთა კავშირში ქალები მისდევენ სპორტის შემდეგ სახეობებს: მძლეოსნობას, ფრენბურთს, კალათბურთს, ჩოგბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, თხილამურებს, ციგურებს, ფიგურულ სრიალს, ცურვას, აკრობატიკას, მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშს, ტყვიით სროლას, მშვილდოსნობას, აკადემიურ და საბაიდარო ნიჩბოსნობას, წყალში ხტომას, ჭადრაკს, ხელბურთს, ცხენოსნობას, ფარიკაობას, ველოსპორტს, მოტოსპორტს, ტურიზმს.

# ი უ მ ო რ ი

## ძნელი არჩევანი

ერთი მოჭადრაკე ჩიოდა: გუშინ ჩემმა მეუღლემ ულტიმატუმი წამომიყენა: თუ ჭადრაკზე სამუდამოდ ხელს არ აიღებ, გაგეყრებოო.

— ეს საშინელებაა!

— რასაკვირველია, ძალიან გამიჭირდება გავშორდე ცოლს.

## შეწირვა თუ შეცდომა

პარტიის დროს მაყურებელმა ჰკითხა ოსტატს:

— თქვენ გაკლიათ ხარისხი. შეწირეთ იგი თუ დაკარგეთ შეცდომის გამო?

— თუ მოვიგებ იგი შეწირვა იქნება, თუ წავაგებ — შეცდომა, — უპასუხა ოსტატმა.

საზღვარგარეთის სპორტულ პრესაში არაერთხელ იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებებში დოპინგის გამოყენების შემთხვევები სულ უფრო ხშირდება. ამას წინათ ველოსპორტში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე დასავლეთგერმანელმა მოყვარულმასპორტსმენმა პრეისმა სალიდერო რბოლის ფინალში დისტანცია არ დაამთავრა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის დპას სააგენტო იტყობინებოდა: „არის ეჭვი, რომ პრეისმა დოპინგი გამოიყენა. იგი ათი წუთის განმავლობაში, როგორც მთვრალი ისე მიაჩანჩალებდა მოტოციკლს. პრეისი ძლივს იჭერდა თავს მანქანაზე. მაყურებლები შიშით ადევნებდნენ თვალს, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ავარია“.

გფრ-ის სპორტული ბოსები შე-



# ჭ მ ლ ა მ დ ო პ ი ნ გ ი

ეცადნენ კონფლიქტის მიფუჩეჩება. პრეისი მისმა მეგობრებმა საჩქაროდ გაიყვანეს ტრეკიდან და სასტუმროში მოათავსეს. როცა ტრეკის ექიმი შეეცადა გაესინჯა „ავადმყოფი“, მან იგი... ვერ იპოვა. გფრ-ის გუნდის ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს: „დოპინგი არ აღმოჩნდა“. ამ ამბის უფრო გვიან გამოძიებამ შედეგი არ მოიტანა, რადგან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ სისხლში დოპინგის მოქმედების კვალის აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია.

თუმცა, სპეციალისტების შეხედულებებში სხვადასხვა აზრი არაა — შვეიცარიის ტრეკ „ერლიკონზე“ ადგილი ჰქონდა დოპინგის მიღების ახალ გამოვლინებას.



**შამათი ერთ სვლაში**

ამ პარტიაში თეთრებმა უნდა გამოუცხადონ შავებს შამათი ერთ სვლაში, მაგრამ მანამდე საჭიროა უკან დაიბრუნონ თავიანთი ბოლო სვლა.




შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შოტლანდიელებმა თავიანთი პირველი მატჩი პრაღაში წააგეს დიდი ანგარიშით — 0:4. ამიტომ მათთვის საჭირო იყო, მხოლოდ-დამხოლოდ გამარჯვება. შოტლანდიის ნაკრებმა შეძლო რევანშის აღება ანგარიშით 3:2. ამჟამად ამ ქვეჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: შოტლანდიელებმა დაამთავრეს თამაშები და დააგროვეს 6 ქულა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს აქვს 2 ქულა, ხოლო ირლანდიელებს — 0. თუ ჩეხები დარჩენილ ორივე მატჩს მოუგებენ ირლანდიას, მათაც ექნებათ 6 ქულა და ფინალურ ტურნირში მონაწილეობისათვის დაინიშნება დამატებითი მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და შოტლანდიის გუნდებს შორის.

შედგა მატჩები სხვა ჯგუფებშიც. საფრანგეთის ნაკრებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა ფინეთის გუნდი, ხოლო ინგლისელებმა მოუგეს ლუქსემბურგის ნაკრებს — 4:1.




როგორც ცნობილია, გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი ბილ რაიტი თავისებური რეკორდსმენია. მან ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 102 (!) მატჩი და 1959 წელს თავი დაანება თამაშს. სპორტული მიმომხილველები ბევრს კამათობდნენ — დაეწეოდა თუ არა ვინმე რაიტს. როგორც მაშინ გამოირკვა, რაიტის შემდეგ მეორე ადგილზე იყო უნგრეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბოჟიკი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 87 მატჩი ჩაატარა, მაგრამ იგი სულ უფრო იშვიათად გამოჰყავდათ ნაკრებში.

ყველასათვის მოულოდნელად 37 წლის ბოჟიკმა სამი უფერული სეზონის შემდეგ კვლავ ბრწყინვალედ დაიწყო თამაში და ისევ გახდა „ჰონვედის“ უძლიერესი ფეხბურთელი. ამას ზედ დაერთო უნგრეთის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელების ფორმის აშკარა გაუარესება და მთავარმა მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ ისევ ბოჟიკს მიაშურა. ვეტერანმა კვლავ უნდა დაიკავოს ადგილი უნგრეთის ნაკრებში. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ მან რაიმე რეალური საფრთხე შეუქმნას რაიტს, 15 თამაშს ნაკრებში წლები სჭირდება.

სანამ კომენტატორები თვალყურს ადევნებდნენ ბილ რაიტისა და იოჟეფ ბოჟიკის დაუსწრებელ დუელს, რეკორდს მართლაც შეექმნა რეალური საფრთხე. ეს საფრთხე მოდის ნორვეგიის ნაკრების კაპიტან ტ. სვენსონის მხრივ. იგი არაა ფეხბურთის გამოჩენილი „ვარსკვლავი“, მაგრამ თავის ქვეყანაში ცნობილ ოსტატად ითვლებოდა და, რაც მთავარია, უცვლელად თამაშობს ნაკრებში ცენტრალური მცველის პოსტზე.

გაასწრებს თუ არა ტ. სვენსონი ბილ რაიტს? უნდა ვიფიქროთ, რომ გაასწრებს. უახლოეს ხანებში სვენსონი თავის გუნდს გამოიყვანს სტამბოლის სტადიონზე თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშში, რასაც მოყვება ნორვეგიელთა თამაში სკანდინავიის ქვეყნების ნაკრებთა ტრადიციულ ტურნირში.

ასე რომ, „პოტენციური გამარჯვებული“ ამ ორთაბრძოლაში სვენსონია.

რედაქტორი ი. უგულავა.

# 1 ოქტომბერს

სპორტის სასახლეში

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სპორტკავშირი, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველო აწყობს მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის პირველობის მონაწილეებთან შეხვედრას.**

დასაწყისი 19 ს. 30 წ.



## პროფესიონალი 5 წუთით

თავისი ყველაზე უფრო ხანმოკლე კარიერით პროფესიულ სპორტში შეუძლია დაიკვეხოს ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ა. კოიტემ. 1956 წელს იგი გაემგზავრა იტალიაში, სადაც მონაწილეობდა ერთ-ერთ მატჩში პალერმოს გუნდში. თამაშის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ ა. კოიტემ მიიღო მუხლის სერიოზული ტრავმა, რამდენიმე თვე იწვა საავადმყოფოში, რის შემდეგ უკაპეიკოდ დაბრუნდა სამშობლოში. „იტალიაში ფულის საშოვნელად წავედი, შინ კი ინვალიდი დავბრუნდი“. — განაცხადა მან.

## გ ი გ ა ნ ტ ი ს ს ა ძ ე ბ ნ ე ლ ა დ

„მე 17 წლისა ვარ, სიმაღლე მაქვს 2 მეტრი და 21 სანტიმეტრი. დიდი ხანი არაა, რაც ჩამოვედი კანადიდან და ცირკში გამოვდივარ ჟონგლიორად“.—ასეთი შინაარსის ტელეგრამა მიიღო 1 აპრილს საფრანგეთის კალათბურთელთა ერთ-ერთი ცნობილი გუნდის მწვრთნელმა რ. ბიუსნელმა. მეორე დღეს რ. ბიუსნელი დილის 5 საათზე ადგა, რათა მიესწრო მარსელში მიმავალი ჩქარი მატარებლისათვის. იგი პირდაპირ სადგურიდან გაემართა დათქმულ ადგილზე, მაგრამ იქ გამოირკვა, რომ ეს იყო ხუმრობა, რ. ბიუსნელის მეგობართა საპირველაპრილო ხუმრობა.

— რას იზამ, — განაცხადა მწვრთნელმა, — ჩვენს გუნდს ისე სჭირდება 2 მ 21 სმ სიმაღლის მოთამაშე, რომ მე მზად ვარ ყოველ დილას ავდგე 5 საათზე, თუნდაც ხუმრობის გულისათვის.

## ყოველ შემთხვევაში

ნახ. ა. ერაძისა.





# 3-4 ოქტომბერი

# კალათბურთი

საერთაშორისო შეხვედრები

ქ ა ლ ე ბ ი

„სლავია“ (პრაღა)-
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)
„სლავია“ (პრაღა)-
თბილისის ნაკრები

მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-96.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05268